

ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



- კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-18.

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რომელი გეოგრაფიული კოორდინატები შეესაბამება ქალაქ ველინგტონს?

ა) ს.გ. $41^{\circ}17'20''$ და ა.გ. $174^{\circ}46'38''$;

ბ) ჩ.გ. $41^{\circ}17'20''$ და ა.გ. $174^{\circ}46'38''$;


გ) ჩ.გ. $41^{\circ}17'20''$ და დ.გ. $174^{\circ}46'38''$;

დ) ს.გ. $41^{\circ}17'20''$ და დ.გ. $174^{\circ}46'38''$.

2. რაში მდგომარეობს ფერნანდო მაგელანის ექსპედიციის განსაკუთრებული გეოგრაფიული მნიშვნელობა?

- ა) განსაზღვრა თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზის მდებარეობა;
- ბ) დაამტკიცა მსოფლიო ოკეანის ერთიანობა;
- გ) გაზომა სამხრეთ ტროპიკის მთლიანი სიგრძე;
- დ) შეისწავლა წყნარი ოკეანის წყლის თვისებები.


3. რომელ ილუსტრაციაზეა დასათაურებული ატმოსფეროს შემადგენელი ფენები სწორი თანმიმდევრობით?



4. რომელ ილუსტრაციაზეა ნაჩვენები ენდოგენური ძალების მოქმედების შედეგად წარმოქმნილი რელიეფის ფორმა?



6. რომელი დიაგრამა შეესაბამება ქ. ახალქალაქის კლიმატურ მონაცემებს?



7. რომელ კლიმატურ სარტყელშია ჰაერის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა მინიმალური?

ა) ზომიერში;

ბ) სუბტროპიკულში;

გ) ტროპიკულში;

დ) ეკვატორულში.

8. რომელია მცდარი დებულება:

- ა) დედამიწის გეოგრაფიული და მაგნიტური პოლუსები ერთმანეთს არ ემთხვევა;
- ბ) დედამიწაზე დღე-ღამის მონაცვლეობას თავისი ღერძის გარშემო ბრუნვა განაპირობებს;
- გ) დედამიწა თავისი ღერძის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ბრუნავს;
- დ) კომპასის ისარი ორიენტირებულია დედამიწის გეოგრაფიული პოლუსებისკენ.

9. რომელ ქალაქში არ ქრის ბრიზი?

ა) ჩიკაგოში;

ბ) ბერლინში;

გ) ბაქოში;

დ) ბათუმში.

10. რომელი ბუნებრივი რესურსი არ გვხვდება კახეთში?


ა) ნავთობი;

ბ) სამკურნალო ტალახი;

გ) ტყვია-თუთია;

დ) მარმარილო.

11. მოსახლეობის დინამიკის რუკის (1990-2004 წწ.) მიხედვით, ქვემო ქართლის რომელ მუნიციპალიტეტებში შეინიშნებოდა მოსახლეობის ზრდა?



- ა) მარნეულისა და ბოლნისის;
- ბ) წალკისა და დმანისის;
- გ) დმანისისა და ბოლნისის;
- დ) გარდაბნისა და მარნეულის.

12. რამ განაპირობა ანაკლიის აკვატორიის შერჩევა პორტის მშენებლობისთვის?

- ა) დიდი მოცულობის (წყალწყვის) გემების მიღების შესაძლებლობამ;
- ბ) თბილისთან სიახლოვემ;
- გ) ზღვის ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებამ;
- დ) განვითარებულმა ინფრასტრუქტურამ.

13. საქართველოს რომელ აეროპორტს არ აქვს საერთაშორისო სტატუსი?

ა) მესტიის;

ბ) ბათუმის;

გ) ქუთაისის;

დ) თბილისის.

14. დასავლეთ საქართველოში რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალს შეუქმნა განსაკუთრებული პრობლემა 2016-2018 წლებში აზიურმა ფაროსანამ?

ა) ხორბლის;

ბ) თხილის;

გ) ყურძნის;

დ) ტყემლის.

15. რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში დაიწყო სამთო-სათხილამურო ტურიზმის მიმართულების განვითარება XXI საუკუნეში?

ა) სამეგრელოში;

ბ) აჭარაში;

გ) იმერეთში;

დ) კახეთში.

16. რომელი რეგიონიდან წამოსული არალეგალი მიგრანტების დიდი ნაკადის შეკავების მცდელობას უკავშირდება აშშ-მექსიკის საზღვარზე აშშ-ის მთავრობის მიერ კედლის მშენებლობის გადაწყვეტილების მიღება?

ა) სამხრეთ-დასავლეთი აზიიდან;

ბ) ეკვატორული აფრიკიდან;

გ) ცენტრალური ამერიკიდან;

დ) სამხრეთი ევროპიდან.

17. რომელი სახელმწიფოს შავი მეტალურგიაა უფრო მეტად დამოკიდებული ნედლეულის იმპორტზე?

ა) რუსეთის;

ბ) ბრაზილიის;

გ) იაპონიის;

დ) ჩინეთის.

18. რომელ კონტინენტზე არ მდებარეობს ოპეკის წევრი სახელმწიფო?

ა) აფრიკის;

ბ) აზიის;

გ) სამხრეთი ამერიკის;

დ) ჩრდილოეთი ამერიკის.

- რუკის ანალიზი - დავალება № 19-20.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

19. (8 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა



გადასვლა კითხვებზე

20. (5 ქ.) თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

20.1. (1 ქ.) ჩამოთვლილთაგან რომელი მთაა უფრო დაბალი?

- ა) მ. შოდას; ბ) მ. ქანორის; გ) მ. ხალთას; დ) მ. მუხის.

20.2. (1 ქ.) დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მ. შოდადან მ. ქანორი?

- ა) 48° ; ბ) 105° ; გ) 140° ; დ) 254° .

20.3. (1 ქ.) ახსენით, გამოჩნდება თუ არა სოფ. ხალთას სკოლის ეზოდან A წერტილი.

20.4. (2 ქ.) სოფ. ხალთას სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს მდ. სოთაზე საბანაოდ წასვლა. საბანაო ადგილის შერჩევასა აზრი ორად გაიყო. მოსწავლეთა ერთი ნაწილი A წერტილის მიდამოს ანიჭებდა უპირატესობას, მეორე - B-ს. რუკაზე მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ ორი მიზეზი, რომელთა გამოც A წერტილის მიდამოს მიანიჭებდით უპირატესობას.

რელიეფი

ბირთვული პორიზონტალები გავლებული ყოველ 5 მეტრში

ა) ბირთვული პორიზონტალები
 ბ) ბირთვული გამსხვილებული პორიზონტალები
 გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)
 დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
 ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბურჰმეტრისები)

სიმაღლის ნიშნულები ა) ბირთვული ბ) ხეულებრებით
 სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით

ა) ცალკე მდგომი ქვები
 ბ) ქვათაგროვა

ფორღანები
 ორმოები

ფლატე (ბეჭი) (16-ხრამის სიღრმე მ-ში)

ხრამები და დარტყვები

მცენარეული საფარი და ბრუნტი

წიწვოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ხემცენარეულების მახასიათებლები მ-ში: 20-საშუალო სიმაღლე, 0.20-მეტრის საშუალო სისქე, 6-ხეებს შორის საშუალო მანძილი

ტყის ვიწრო ზოლები და დაცვითი ტყის ნარგავები (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)
 ცალკეული კორმოები

ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფართოფოთლოვანი

ახალგაზრდა წიწვოვანი (წვრილნაზარდი) ტყე ახალი ტყის ნარგავების სიმაღლე 4 მ-მდე (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)

ა) ქარქვეული ტყე ბ) მუხხერი ტყე

ა) გაჩეხილი ტყე ბ) გადამწვარი და ძირზემხარი ხეები

განაჩეხი ტყეში
 4 განაჩეხის სიგანე მ-ში

ბუნქნარი ა) ცალკე მდგომი ბუნქნები და ბუნქნების დაჯგუფებები; ბ) სპირი ბუნქნარი

ა) მდელის მცენარეულობა
 ბ) ლელქაშის და ლერწმის ტიპის საფარი

ხეხილის ბაღი

ქვიშნარი

გაუქვადი და მქვადგასაქვადელი ჭაობები (0.7-ჭაობის სიღრმე მ-ში)

ადვილადგასაქვადელი ჭაობები

საბზაო ქსელი

ორლიანდაგიანი რკინიგზა, სადგურები

ერთლიანდაგიანი რკინიგზა
 ბაქნები, გზაგასაყარები

მიწაყრილებზე (ა) და ჩაღრმავებებში (ბ) გაყვანილი რკინიგზები (2-სიმაღლე ან სიღრმე მ-ში)

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა

გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სიგანე, 17-მთელი გზის სიგანე ხანიაღვრეებს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა) (ა-საფალტი, ქვ-ქვაყვანილი)

გზატკეცილი
 გაუმჯობესებული გზის გზები გასწვრივი მცენარეული ნარგავებით

გზის გზები
 მინდვრის და ტყის გზები

ზამთრის გზები
 ფისფინილი (ჭაობზე გადასასვლელად)

რკინიგზაზე გადასასვლელი გზატკეცილები

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები ცალკეული უნებობა-ნაბეობაში

საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები

გამორჩეულად ცალკე მდგომი კარმიდამოები ეკლესიები

კვარტლები

ცვცვლაგამდე ნაგებობების სიჭარბით

არაცვცვლაგამდე ნაგებობების სიჭარბით

ბოში

ახალდაბა
 ცაცხვანა
 ნაკვეთი

ქალაქები - 2000-დან 10 000-მდე მცხოვრებით
 დაბები - 2000-ზე ნაკლები მცხოვრებით
 სოფლები 20-დან 1000-მდე სახლების რაოდენობით
 სოფლები 20-ზე ნაკლები სახლით

ცალკეული ადგილობრივი ნაგებობები

ქარხნები და ფაბრიკები

მოქმედი მდარობები
 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები თხს- მოპოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში

ტორფის მოპოვება

საწვავის საწვობები

რადიონაძები და სატელევიზიო ანძები

წყლის წისქვილები

ქარის წისქვილები

საფურტკრები

ანძის ტიპის ნაგებობები

მეტრევის სახლები

სატელეფონო სადგურები

მეტეოროლოგიური სადგურები

ღირშესანიშნავი ძეგლები

სასაფლაოები

კავშირგაბმულობის საზები

ხის საყრდენებიანი ელექტროგადამცემი საზები

ჰიდროტრაფიკი

მდინარეები, ნაკადულები, ტბები

შრობადი ნაკადები

წყლის კოდის ნიშნულები

ისრები უქვანებენ მდინარის დინების მიმართულებას (0.4-დინების სიქარე მ/წმ)

მდინარეების მახასიათებლები: 285-სიგანე და 4.8 სიღრმე მ-ში; ქ - ფსკერის გზის ტიპი

ფორები და მათი მახასიათებლები: 0.5 სიღრმე და 17 სიგრძე მ-ში, ქ-ფსკერის გზის ტიპი, 0.1 - დინების სიქარე მ/წმ

ბორები: 285 - მდინარის სიგანე, 5X4-ბორის ზომები მეტრებში, 5 - ტვირთამწვობა ტონებში

ხის ხიდები
 რკინის ხიდები
 ქვის და რკინაბეტონის ხიდები

ხიდების მახასიათებლები: ქვა-საშენებლო მასალა, 8 სიმაღლე წყლის დონიდან, 170 - ხიდის სიგრძე, 8 -სავალი ნაწილის სიგანე მ-ში, 50 - ტვირთამწვობა ტონებში

სანაპირო სამდინარო სიგნალიზაციის მუდმივი ნიშნულები

ნავსაყვადელი კაშხლები

ჭები

ქარის ძრავიანი ჭები

წყარობები

198.4
159.7

სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები იგივე ნიშნულები ფორღანებზე


| ბ(ო)ბრაფიულ | როპაზი | მიღებული შიშ(ო)კლემპაი |
|-------------|-----------------|------------------------|
| ა | აფალტი | აქ |
| ა | ჯიხური | აქ |
| რ.ქ. | რეისი ქვა | ტბრ |
| არ.ყ. | არეის ხე | პრ. |
| ფი.ბ. | ფიჭვის ხე | წ |
| ნ.ა.ძ. | ნაძის ხე | სს |
| წ.ს. | წყალსაქანი | მე |
| თ.ს. | თიხა | კრ.მ. |
| სჭ. | საორიენტაციო ჭა | ს.კ. |
| ყ.ა. | ყაზარმა | ლ.ა |
| | | ნ.ა.ს |
| | | აგურის ქარხანა |
| | | ფქვილის ქარხანა |
| | | ტბორი |
| | | პროექტორის ანძა |
| | | წყარო |
| | | სასოფლო საკრებულო |
| | | მყარი |
| | | კრამიტის ქარხანა |
| | | სკოლა |
| | | ლაში |
| | | ქვანახშირი |

- ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 21-29.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

21. (1 ქ.) რა პროცესია ნაჩვენები სქემაზე?



22. (1 ქ.) რა გეოგრაფიული პრინციპით იხელმძღვანელებს ილუსტრაციაზე ნაჩვენები ცხოველების დაჯგუფებისას?



თეთრი დათვი




საიმპერატორო პინგვინი



კარიბუ

23. (1ქ.). ახსენით, დასჭირდება თუ არა ავსტრალიის ქალაქ პერთიდან ჩინეთში სამოგზაუროდ ჩასულ ტურისტს საათზე დროის შეცვლა (საათის ისრის გადაწევა).




24. (2 ქ.) ილუსტრაციების გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს (გაითვალისწინეთ, რომ მოცემული ფოტოები გადაღებულია ერთ დღეს):



24.1. (1 ქ.) რომელი გეოგრაფიული მოვლენაა გამოსახული ილუსტრაციებზე?

24.2. (1 ქ.) რა განაპირობებს ილუსტრაციებზე გამოსახულ მოვლენას?

25. (2 ქ.) გაანალიზეთ N სახელმწიფოს დემოგრაფიული (სქესობრივ-ასაკობრივი) პირამიდა და უპასუხეთ კითხვებს:




25.1. (1 ქ.) რა ზოგადი ტენდენცია შეინიშნება სქესობრივი ბალანსის თვალსაზრისით N სახელმწიფოში?

25.2. (1 ქ.) მოსახლეობის როგორი აღწარმოების ტიპია დამახასიათებელი ამ სახელმწიფოსთვის?


26. (3 ქ.) გაანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:

მოცემულია პაულო ტოსკანელის მიერ 1474 წელს შექმნილი ატლანტის ოკეანის რუკა. ღია ცისფერით დამატებულია ჩრდილოეთი ამერიკის თანამედროვე რუკა.




- 26.1. (1 ქ.) რომელმა გენუელმა ზღვაოსანმა იხელმძღვანელა ამ რუკით თავისი მოგზაურობის დაგეგმვისას?
- 26.2. (1 ქ.) რა იყო ამ მოგზაურის მიზანი?
- 26.3. (1 ქ.) რომელი ევროპული სამეფოს ტერიტორიად გამოცხადდა ამ მოგზაურობის დროს აღმოჩენილი ახალი მიწები?

27. (3 ქ.) გაანალიზეთ საქართველოს მშპ-ის მონაცემები და უპასუხეთ კითხვებს:



დიაგრამა 1.




დიაგრამა 2.

27.1. (2 ქ.) მშპ-ს რა მონაცემებია მოცემული თითოეულ დიაგრამაზე?

27.2. (1ქ.) დიაგრამებზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ახსენით, როგორ შეიძლება დავადგინოთ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლისთვის.

28. (7 კ.) გაანალიზეთ რუკები და უპასუხეთ კითხვებს:



რუკა 1.




რუკა 2.

- 28.1. (1 ქ.) რა სახელით არის ცნობილი რუკა 1-ზე წყნარი ოკეანის პერიმეტრზე მოცემული არეალი?
- 28.2. (1 ქ.) დაასათაურეთ რუკა 2.
- 28.3. (3 ქ.) რომელი სამი ფილა არ მონაწილეობს რუკა 1-ზე მოცემული არეალის ფორმირებაში?
- 28.4. (2 ქ.) დაასახელეთ ორი ბუნებრივ-სტიქიური მოვლენა, რომლებიც წარმოიქმნება ფილების ურთიერთქმედების შედეგად რუკა 1-ზე მოცემული არეალის ფარგლებში.


29. (9 კ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტატისტიკა
2007-18 წწ. (დიაგრამა 1.)




გადასვლა [დიაგრამა 2-ზე](#); [დიაგრამა 3-ზე](#); [კითხვებზე](#)

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა
თვეების მიხედვით 2018 წელი (დიაგრამა 2.)



გადასვლა [დიაგრამა 1-ზე](#); [დიაგრამა 3-ზე](#); [კითხვებზე](#)

ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით 2018 წელი (დიაგრამა 3.)



[გადასვლა დიაგრამა 1-ზე](#); [დიაგრამა 2-ზე](#); [კითხვებზე](#)

- 29.1. (1 ქ.) 2018 წლის რომელ პერიოდში აჭარბებდა უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა ადგილობრივ ვიზიტორთა რიცხვს?
ა) იანვარ-მარტი; ბ) აპრილ-ივნისი; გ) ივლის-სექტემბერი; დ) ოქტომბერ-დეკემბერი.
- 29.2. (1ქ.) დიაგრამა 2-ის მიხედვით, რომელ თვეშია ადგილობრივი ვიზიტორების უფრო მაღალი ხვედრითი წილი?
ა) იანვარში; ბ) მარტში; გ) მაისში; დ) დეკემბერში.
- 29.3. (1ქ.) დაასახელეთ დიაგრამა 3-ზე მოცემული ოთხი დაცული ტერიტორია, რომლებიც აჭარის ფარგლებში მდებარეობს.
- 29.4. (2ქ.) რომელი დიაგრამის საშუალებით შეიძლება ვიმსჯელოთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა დინამიკის შესახებ და რა ტენდენცია შეინიშნება წლების მიხედვით?
- 29.5. (2ქ.) დაასახელეთ იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებში მდებარე მღვიმე, რომელიც ყველაზე ნაკლებმა ვიზიტორმა მოინახულა 2018 წელს და ახსენით ამის მთავარი მიზეზი.
- 29.6. (2ქ.) დაასახელეთ ორი დაცული ტერიტორია, რომლებიც გადამფრენი ფრინველებისთვის, საქართველოს ფარგლებში ძირითად, სატრანზიტო / მოსასვენებელ ადგილს წარმოადგენს.

[გადასვლა დიაგრამა 1-ზე; დიაგრამა 2-ზე; დიაგრამა 3-ზე](#)